ტანილი კანონ-პროექტი უარჰყო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთავრობამ ამაში დაინახოს პოლიტიკური უნდობლობა და მყისვე გადადგეს. სრულიადაც არა. მას შეუძლია უშფოთველად განაგრძოს თავის საქმიანობა კანონით დადგენილი ვადის (3 წლით) გასვლამდე. აქ მთავრობის წევრები ვადით არჩეული უმაღლესი მოხელენი, საქმიანი ამსრულებლებია პარლამენტის ნება სურვილების და პოლიტიკის.

ასეთი სისტემა მთავრობის და პარლამენტის ურთიერთობისა ჩვენთვის მისაღები არ არის. ჩვენ სულ სხვა საერთაშორისო გარემოებაში ვიმყოფებით, სულ სხვა კულტურულ და სოციალურ განვითარების დონეზე ვდგევართ. სახელმწიფოებრივად ახლა ვშენდებით. გვჭირდება მაგარი, პოლიტიკური, კოლექტიური პასუხისმგებლობით შეკრული მთავრობა. მთავრობა როგორც სხვა და სხვა დეპარტამენტის უბრალო გამგეთა კრებული, რაგინდ ნიჭიერი და წინდახედულნი იყვნენ ეს გამგენი, აღმასრულებელ ხელისუფლებად თანამედროვე ისტორიულ პირობებში საქართველოს ვერ გაამაგრებს. ამას ჩვენში ყველა დაკვირვებული პოლიტიკოსი გრძნობს.

ისიც სათქმელია, რომ ჩვენი ჩვეულებით და კონსტიტუციური პრაქტიკით, როგორსაც ვაწარმოებთ ეს მეოთხე წელიწადია, შვეიცარული სისტემა არ დამყარდება. ჩვენ პარლამენტარული მთავრობა გვყავს, რომელიც პოლიტიკურად პასუხისმგებელია დამფუძნებელი კრების წინაშე. მთავრობის შედგენაც სულ სხვანაირი წესით ხდება აქ.

დამფუძნებელმა კრებამ 1919 წ. მარტის 14 მიიღო დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენისა. ამ დეკრეტით ეძლევა დამფუძნებელ კრების წევრს ნოე ჟორდანიას საქართველოს მთავრობის შედგენა მისივე თავმჯდომარეობით. დეკრეტი აგრეთვე აღიარებს, რომ „მთავრობის თავმჯდომარე იმავე დროს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელია“.

ამ ნაირათ დამფუძნებელი კრება ირჩევს პრემიერს, რომელიც იწვევს დანარჩენ მინისტრებს თავის შეხედულებისამებრ. ეს საქართველოს პარლამენტის კონსტიტუციური პრაქტიკის გაგრძელებაა. მხოლოდ საქართველოს პირველი დროებითი მთავრობა ნ. ბ. რამიშვილის თავმჯდომარეობით, ეროვნულ საბჭოს მიერ არჩეული დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, იყო სხვა წესით შემდგარი. ამ მთავრობის წევრები საბჭომ ცალ ცალკე აირჩია. შემდეგ როცა ნ. ნ. ჟორდანია იქნა მთავრობის თავმჯდომარედ არჩეული შემოვიდა და გამტკიცდა პრემიერული სისტემა. ეს სისტემაა გაბატონებული დღეს და არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იგი შეიცვლება ახლო მომავალში.

თუ დავუკვირდებით, საქართველოს მთავრობის და საკანონმდებლო დაწესებულებათა ურთიერთობის პრაქტიკა განსხვავებულ მაგალითს წარმოადგენს.

ჩვენს სახელმწიფოებრივ პრაქტიკაში პოლიტიკური სამინისტროს მთავარი ელემენტები გაბატონდა. პარლამენტარული პასუხისმგებლობა—მთავრობის დამახასიათებელი თვისება პარლამენტარიზმისა—ფაქტია. ყველაფერი ეს მოგვაგონებს ფრანგული ტიპის პარლამენტარულ დემოკრატიას. მაგრამ საკონსტიტუციო პროექტით განზრახული რეფერენდუმ ინიციატივით, თავმჯდომარის ყოველწლიური არჩევით, მთავრობის თავმჯდომარის იმავე დროს მთელი რესპუბლიკის წარმომადგენლის როლის მინიჭებით, ერთი და იმავე პირის მთავრობის თავმჯდომარის ადგილზე ზედიზედ არჩევით და სხ. კონსტიტუციის პროექტი რამდენიმედ აახლოვებს ჩვენს მდგომარეობას შვეიცარიულ დემოკრატიასთან.

პ. საყვარელიძე.

(შემდეგი იქნება).